


გულბაათ ნარეულაშვილი

კვლევის მეთოდები ინფორმატიკაში

(პრაქტიკულის მეთოდური მითითებანი)



„სტუ-ს IT კონსალტინგის სამეცნიერო ცენტრი“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გულბაათ ნარეშელაშვილი

სადოქტორო პროგრამა „ინფორმატიკა“

კვლევის მეთოდები ინფორმატიკაში

(პრაქტიკული სამუშაოს მეთოდური მითითებანი)



დამტკიცებულია:

სტუ-ს „IT კონსალტინგის სამეცნიერო
ცენტრის“ სარედაქციო კოლეგიის მიერ
ოქმი N7, 15.10.2020

თბილისი
2020

უაკ 004.5

განხილულია ინფორმაციისა და კომუნიკაციების ტექნოლოგიების სფეროში გამოყენებული ტრადიციული და თანამედროვე კვლევითი მეთოდები, მათი ინსტრუმენტული საშუალებები და გამოყენების ინსტრუქციები. საკვლევო ობიექტების კონკრეტული პრობლემებისა და ამოცანების გადასაწყვეტად წარმოდგენილია თეორიული, ტექნიკური, პრაქტიკული და გამოყენებითი ინფორმატიკის მიმართულებით საინჟინრო-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტის მოდელები, მეთოდები და ფრეიმვორკები. წინამდებარე მითითებების წიგნში მოცემულია ზოგიერთი ფართოდ გამოყენებადი კვლევის მეთოდის კონკრეტული მაგალითების გადაწყვეტა, რაც ხელს შეუწყობს დოქტორანტებს მათი დისერტაციის პრობლემების შესაბამისად აუცილებელი კვლევის მეთოდების შერჩევას.

მეთოდური მითითებანი რეკომენდებულია ინფორმატიკის სპეციალობის დოქტორანტებისათვის, ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების სფეროში (ICT 0613).

რეცენზენტები:

აკად. წევრ-კორ. გ. გოგიჩაიშვილი (საქ. მეცნიერებათა ეროვნული აკადემია)
ასოც. პროფ. ი. ქართველიშვილი (სტუ)

რედკოლეგია:

ა. ფრანგიშვილი (თავმჯდომარე), მ. ახოზაძე, გ. გოგიჩაიშვილი, ზ. ბოსიკაშვილი, ე. თურქია, რ. კაკუბავა, ნ. ლომინაძე, ჰ. მელაძე, თ. ოზგაძე, გ. სურგულაძე (რედაქტორი), გ. ჩაჩანიძე, ა. ცინცაძე, ზ. წვერაიძე

© სტუ-ს „IT-კონსალტინგის სამეცნიერო ცენტრი“, 2020

ISBN 978-9941-8-2868-3

ყველა უფლება დაცულია, ამ წიგნის არც ერთი ნაწილის (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) გამოყენება არანაირი ფორმითა და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე. საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

სასწავლო კურსის მიზანი

სასწავლო კურსის მიზანია ინფორმატიკის სფეროში არსებული მეთოდებისა და მათი ინსტრუმენტალური საშუალებების შესწავლა და გამოყენება კონკრეტული პრობლემისა და ამოცანების გადასაწყვეტად თეორიული, ტექნიკური, პრაქტიკული და გამოყენებითი ინფორმატიკის მიმართულებით.

საგნის შესწავლის შედეგად მიღებული ცოდნა და შეძენილი უნარები

1. განსაზღვრავს წრფივი და მათემატიკური პროგრამირების ამოცანების დასმის საკითხებს, ასევე პროგრამული პაკეტის „POM FOR WINDOWS“-ის დაქნიშნულებას და მასთან მუშაობის პრინციპებს.
2. უსადაგებს სხვადასხვა ხასიათის ამოცანების მათემატიკურ მოდელს მათემატიკური პროგრამირების მეთოდებს.
3. გადაჭრის პროგრამული პაკეტის „POM FOR WINDOWS“-ის საშუალებით ისეთ ამოცანებს, რომელიც ხელს უწყობს ოპტიმალური ამონახსნები მოძებნას.
4. აჩვენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებით გამოყენების საკითხებს.
5. შეაფასებს საკუთარი ცოდნის დონეს და შემდგომი სწავლის საჭიროებას.
6. აფორმირებს დაგეგმვისა და ორგანიზაციული მართვის ამოცანებს, რის საფუძველზე შეიმუშავებს პრობლემის გადაჭრის გზებს და მოახდენს პროცესების ავტომატიზაციას.

საათების განაწილება (სტუდენტის დატვირთვა)

კრედიტების რაოდენობა 7. ლექცია -30 სთ., პრაქტიკული -30 სთ., დამოუკიდებელი მუშაობა 112 სთ.

პრაქტიკული სამუშაოს თემები:

1. ჯგუფური მუშაობა - თემა „სისტემური ანალიზი“: მართვის აბსტრაქტული ობიექტის განხილვა სისტემური ანალიზის მეთოდოლოგიით. მისი მიზნის, შემადგენელი ელემენტებისა და ურთიერთკავშირების გამოვლენა. დეკომპოზიციის მეთოდი. სისტემის სტრუქტურის მოდელის და ქცევის მოდელის აგება. სტუდენტთა მიერ კონკრეტული კვლევის ობიექტების განხილვა სისტემური ანალიზის მეთოდით. დისკუსია. პრობლემების გამოვლენა და გადაწყვეტილების მიღება შესაბამისი მეთოდების შესარცევად.
2. ჯგუფური მუშაობა - თემა „ექსპერიმენტის დაგეგმვა“: სტუდენტების მიერ კონკრეტული საკვლევი ობიექტისათვის ფიზიკური სიდიდეების გაზომვა, მონაცემთა ერთობლიობის დაფიქსირება. მათ დასამუშავებლად მათემატიკური სტატისტიკის, დისპერსიული ანალიზის, კორელაციური და რეგრესიული ანალიზის, მრავალფაქტორული ანალიზის ელემენტებისა და მეთოდების გამოყენება. დისკუსია
3. წრფივი პროგრამირების მეთოდი: წრფივი პროგრამირების ამოცანების მაგალითები. სიმპლექს-მეთოდი. წრფივი პროგრამირების ორადული ამოცანები. მათი გადაწყვეტის ხერხები და მეთოდები
4. არაწრფივი პროგრამირების მეთოდი: არაწრფივი დაგეგმვა. ლაგრანჟის მამრავლთა მეთოდით არაწრფივი პროგრამირების ამოცანის ამოხსნა ზოგადი სახით
5. მოძრაობის ოპტიმალური დაგეგმვა: სატრანსპორტო ამოცანის დასაშვები ამონახსნის პოვნა. სატრანსპორტო ამოცანის ამოხსნა პოტენციალების მეთოდით. კომივოიაჟერის ამოცანა: ამოხსნის შტოების და ზღვრების მეთოდი.
6. ქსელური დაგეგმვა. CPM მეთოდი. PERT მეთოდი. დანიშვნის ამოცანა: ამოცანის ამოხსნის უნგრული ალგორითმი. დალაგების ამოცანა: ორი ჩარხის ამოცანა და ჯონსონის ალგორითმი. სამუშაოთა წარმოდგენის ქრონოგრამა (განტ-რუქა).
7. ლოგისტიკის მენეჯმენტი: მარაგების მართვა. მარაგების მართვის ძირითადი ეტაპები. ინოვაციური ტექნოლოგიები - მიწოდების ჯაჭვის მართვა.

8. მრავალბიჯიანი პროცესების დაგეგმვა: დინამიური პროგრამირება. ბელმანის ოპტიმალობის პრინციპი.

9. თამაშთა თეორიის ამოცანები: მინიმალის პრინციპი. თამაშები უნაგირა წერტილით. თამაშების ამოხსნა შერეულ სტრატეგიებში.

10. ექსპერტულ შეფასებათა მეთოდები: კლასიფიკაცია. დანიშნულება. გადაწყვეტილების მიღების ჯგუფური მეთოდები - დელფისა და პატერნის მეთოდები.

11. კოგნიტიური მოდელირების მეთოდი: არსი. დანიშნულება. შემეცნებითი მოდელირება რთული სისტემების მოდელირებისა და მართვისათვის.

12. რიგების თეორია: მასობრივი მომსახურების სისტემები. შემავალი ნაკადი. მომსახურების დრო. მომსახურების სისტემები დანაკარგებით. მომსახურების სისტემები ლოდინით. მარკოვის ჯაჭვები და მათი გამოყენება საინჟინრო და ეკონომიკური სფეროს პროცესების მოდელირებისათვის.

13. პეტრის ქსელები: კლასიფიკაცია. მოდელირება და ანალიზი პეტრის ქსელებით. პეტრის კლასიკური და ფერადი ქსელები. იმიტაციური მოდელირება პეტრის ქსელების ინსტრუმენტი. მაღალი დონის პეტრის ქსელები. ობიექტ-ორიენტირებული და უნიფიცირებული პეტრის ქსელები

14. დიდ მონაცემთა ანალიზის მეთოდები: კორპორაციული მენეჯმენტის სისტემების მონაცემთა საცავები. რელაციური და NoSQL ბაზების თეორია. ინფორმაციის დაცვა განაწილებულ სისტემებში და მონაცემთა უსაფრთხოება.

15. BI (Business intelligence) ტექნოლოგიები: ბიზნეს-პროცესების ანალიზის მეთოდები და ინსტრუმენტული საშუალებები. მანქანური დასწავლის (Machine Learning) სისტემები. OLAP და DataMining მეთოდები.

პრაქტიკული სამუშაოს შესრულების ნიმუში

პრაქტიკული N6

➤ პროექტების ქსელური ანალიზი CPM და PERT მეთოდებით

პრაქტიკული სამუშაო იძლევა საშუალებას ვაწარმოვით კონტროლი პროექტის შესრულების ვადებზე. ასეთი პროექტი შესაძლებელია იყოს ახალი საწარმო პროცესის დამუშავება, სხვადასხვა დანიშნულების შენობის მშენებლობა, რთული აღჭურვილობის რემონტი და ა.შ.

პროექტის რეალიზაციის დროს ადგენენ სამუშაოების გრაფიკს. იმისათვის, რომ პროექტი შესრულდეს დროულად, საჭიროა ყველა სამუშაოების შესრულების ვადების კონტროლი. CPM მეთოდი გამოიყენება პროექტის ანალიზის იმ შემთხვევაში, როცა ზუსტად არის ცნობილი ყოველი სამუშაოს შესრულების დრო.

ანალიზი სრულდება პროგრამული პაკეტის POM for Windows საშუალებით.


განვიხილოთ შემდეგი ამოცანა: „ქალაქის მერიამ გადაწყვიტა სავაჭრო ცენტრის აშენება. სამუშაოები, რომლებიც უნდა ჩატარდეს პროექტის რეალიზაციისათვის, მათი ურთიერთკავშირები და შესრულების დრო მოყვანილია 1-ელ ცხრილში.

ცხრ.1

სამუშაო	სამუშაოს შინაარსი	წინმდებარე სამუშაო	შესრულების დრო (კვირა)
A	არქიტექტურული პროექტის მომზადება	–	5
B	მომავალი მეიჯარეების გაქნსაზღვრა	–	6
C	მეიჯარეებისათვის პროსპექტის მომზადება	A	4
D	შემსრულებლის ამორჩევა	A	3
E	მშენებლობაზე ნებართვის საბუთების მომზად.	A	1
F	მშენებ. ნებართვის აღება	E	4
G	მშენებლ. განხორციელება	D, F	14
H	მეიჯარესთან ხელშეკრულების დადება	B, C	12
I	მეიჯარეებისათვის ფარ-თობის გამოყოფა	G, H	2

განსაზღვრეთ, რამდენი სამუშაოა შესასრულებელი კრიტიკულ გზაზე? რა სიგრძის არის კრიტიკული გზა? რამდენი კვირით შეიძლება გადავიტანოთ E სამუშაოს დაწყება, რომ ამან გავლენა არ იქონიოს პროექტის შესრულების ვადაზე? რამდენი კვირით შეიძლება გადავიტანოთ B სამუშაოს დაწყების დრო, რომ მან გავლენა არ იქონიოს პროექტის შესრულების ვადაზე (დროის სრული რეზერვი)? რამდენი კვირით შეიძლება გადავიტანოთ C სამუშაოს დაწყების დრო, რომ მან არ შეცვალოს შემდგომი ეტაპის დაწყების ყველაზე ადრეული ვადა (დროის თავისუფალი რეზერვი)?

ამოცანის საწყისი მონაცემების შეტანა შესაძლებელია ორი ხერხით. პირველი ხერხის თანახმად POM for Windows პროგრამული პაკეტის გავშების შემდეგ ვირჩევთ Project Management (PERT/CPM) მოდულს. ძირითადი მენიუს სტრიქონში File მენიუდან ვირჩევთ New სტრიქონს და ამ სტრიქონის გაფართოებიდან ვირჩევთ Single time estimate-ს. ეკრანზე გამოდის დიალოგური ფანჯარა (ნახ.1).



ნახ.1

პირველ სტრიქონში –Title, შეგვაქვს ამოცანის დასახელება. მეორე სტრიქონში - Number of Activites შეგვაქვს სამუშაოთა რაოდენობა (მაგალითში _ 9), მესამეში ვუთითებთ ცხრილის სტრუქტურას, ანუ Immediate predecessor list მეოთხე სტრიქონში Row names ვირჩევთ სტრიქონის დასახელების ტიპს (ამოცანაში A,B,C,...). OKOK ღილაკის დაჭერის შემდეგ ეკრანზე გამოდის დიალოგური ფორმა (ნახ.2).

Proektis kseluri analizis amocana					
Activity	Activity time	Predecessor 1	Predecessor 2	Predecessor 3	Predecessor 4
A	5				
B	6				
C	4	A			
D	3	A			
E	1	A			
F	4	E			
G	14	D	F		
H	12	B	C		
I	2	G	H		

ნახ.2


პირველ სვეტში Activity ჩამოთვლილია სამუშაოთა დასახელებები, სვეტში - Activity time შეგვაქვს სამუშაოთა შესრულების დრო, Predecessor1 და Predecessor2 მესამე და მეოთხე სვეტების შესაბამის სტრიქონებში შეგვაქვს პირველ სვეტში მითითებული სამუშაოების წინამდებარე სამუშაოები. ღილაკზე Solve დაჭერის შემდეგ ეკრანზე გამოდის ამოხსნის შედეგი (ნახ.3).

Activity	Activity time	Early Start	Early Finish	Late Start	Late Finish	Slack
Project	26					
A	5	0	5	0	5	0
B	6	0	6	6	12	6
C	4	5	9	8	12	3
D	3	5	8	7	10	2
E	1	5	6	5	6	0
F	4	6	10	6	10	0
G	14	10	24	10	24	0
H	12	9	21	12	24	3
I	2	24	26	24	26	0

ნახ.3


ამონახსნიდან ჩანს, რომ კრიტიკულ გზაზე არის AA,E,F,GG და I ხუთი სამუშაო (ამ სამუშაოების მნიშვნელობები ბოლო Slack სვეტში შესაბამისად 0-ის ტოლია). კრიტიკული გზის სიგრძე, ე.ი. პროექტის შესრულების მინიმალური დრო უდრის 26 კვირას (Project სტრიქონის მნიშვნელობა უდრის 26). EE სამუშაოს დაწყების დროის გადატანა შეუძლებელია (Slack სვეტში EE მნიშვნელობა უდრის 0-ს). BB სამუშაოს დაწყების დრო შეიძლება გადატანილ იქნეს 6 კვირით, ხოლო C-სი - 3 კვირით. პროექტის შესრულების მინიმალური დრო უდრის 26 კვირას (Project სტრიქონის მნიშვნელობა უდრის 26).

გარდა ამისა, სამუშაოთა ხანგრძლივობა, მათი დაწყებისა და დამთავრების ვადები, ასევე სამუშაოები, რომლებიც განლაგებულია კრიტიკულ გზაზე, შესაძლებელია ვნახოთ განტ-რუკის საშუალებით. ამისათვის მენიუში, რომელიც თან ახლავს ამონახსნათა ცხრილს, ვირჩევთ Charts სტრიქონს და ეკრანზე გამოდის ამოცანის განტ-რუკა (ნახ.4).



ნახ.4

ამოცანის ამოხსნა მეორე ხერხით გულისხმობს, რომ საწყისინ მონაცემების შესატანად გამოიყენება პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების წარმოდგენა გრაფის სახით (ნახ.5).




ნახ.5

ამ გრაფის შესაბამისი აღწერა მოცემულია მე-2 ცხრილში.

ცხრ.2

სამუშაო	მწვერვალი დასაწყისი	მწვერვალი დაბოლოება	შესრულების დრო
A	1	2	5
B	1	3	6
C	2	3	4
D	2	5	3
E	2	4	1
F	4	5	4
G	5	6	14
H	3	6	12
I	6	7	2

როგორც პირველი ხერხით ამოხსნისას, ამ შემთხვევაშიც ვტვირთავთ POM for Windows პროგრამულ პაკეტს და ვირჩევთ Project Management (PERT/CPM) მოდულს. ძირითადი მენიუს სტრიქონში File-ს მენიუდან ვირჩევთ New სტრიქონს და ამ სტრიქონის გაფართოებიდან – Single time estimate-ს, ეკრანზე გამოდის დიალოგური ფორმა (ნახ.6)



ნახ.6

ყველა სტრიქონში შეგვაქვს იგივე ინფორმაცია, რაც წინა ამოცანისთვის გამოვიყენეთ. განსხვავებულია მხოლოდ ცხრილის სტრუქტურის სტრიქონი, რომლისთვისაც ვირჩევთ Start/end node numbers. OK ღილაკზე დაჭერის შემდეგ ეკრანზე გამოდის ცხრილი (ნახ.7), რომელიც შეესაბამება მე-2 ცხრილს.

Network type

Immediate predecessor list
 Start/end node numbers

Method: Single time estimate

Activity	Start node	End node	Activity time
A	1	2	5
B	1	3	6
C	2	3	4
D	2	5	3
E	2	4	1
F	4	5	4
G	5	6	14
H	3	6	12
I	6	7	2


ნახ.7

რიცხვითი მონაცემები შეგვაქვს მეორე, მესამე და მეოთხე სვეტებში. შტარტ ნოდე მეორე სვეტში შეგვაქვს სამუშაოს საწყისი მწვერვალის ნომერი, მესამეში End node - სამუშაოს დაბოლოების წერტილი, მეოთხეში - Active time - შესრულების დრო. შოლვე ღილაკზე დაჭერის შემდეგ ვიღებთ ამოცანის ამოხსნის შედეგს (ნახ.8) და განტ-რუკას (ნახ.9), რომლებიც იდენტურია პირველი ხერხით ამოხსნილი შედეგებისა.ნახ.7

Project Management (PERT/CPM) Results

Activity	Start node	End node	Activity time	Early Start	Early Finish	Late Start	Late Finish	Slack
Project			26					
A	1	2	5	0	5	0	5	0
B	1	3	6	0	6	6	12	6
C	2	3	4	5	9	8	12	3
D	2	5	3	5	8	7	10	2
E	2	4	1	5	6	5	6	0
F	4	5	4	6	10	6	10	0
G	5	6	14	10	24	10	24	0
H	3	6	12	9	21	12	24	3
I	6	7	2	24	26	24	26	0

ნახ.8



ნახ.9

პროექტის ქსელური ანალიზი PERT მეთოდით


განვიხილოთ შემდეგი მაგალითი: მექანიკურმა ქარხანამ შექმნა ახალი ხელსაწყო. ქარხნის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა შეისწავლოს ახალი ხელსაწყოს რეალიზაციის შესაძლებლობები. ამ გამოკვლევის საბოლოო შედეგი არის იმ სამუშაოების ჩამონათვალი, რომლებიც საჭიროა ახალი ხელსაწყოს წარმოებისას და გასაღებისათვის. სამუშაოების ჩამონათვალი და შესრულების ვადები (კვირაში) მოცემულია მე-3 ცხრილში.

ცხრ.3

შამუ-შაო	სამუშაოს შინაარსი	უშუალოდ წინამდებარე სამუშაო	ოპტიმის-ტური დრო	ყველაზე სავარაუდო დრო	პესიმისტური დრო
1	2	3	4	5	6
A	საკონსტრ.პროექტის მომზადება	–	4	5	12
B	სამარკეტინგო გეგმის დამუშავება	–	1	1,5	5
C	სამარშრუტო რუკის მომზადება	A	2	3	4
D	საცდელი ნიმუშის შექმნა	A	3	4	11
E	სარეკლამო ბუკლეტის შექმნა	A	2	3	4
F	დანახარჯების ანგარიში	C	1,5	2	2,5
G	ტესტირების ჩატარება	D	1,5	3	4,5
H	ბაზრის შესწავლა	B,E	2,5	2,5	7,5
I	ფასებზე ანგარიშის მომზადება	H	1,5	2	2,5
J	საბოლოო მოხსენების მომზადება	F,G,I	1	2	3

განსაზღვრეთ პროექტის კრიტიკული გზა. რას უდრის პროექტის შესრულების სავარაუდო დრო? რას უდრის იმის ალბათობა, რომ პროექტი შესრულდება 20 კვირაში? ორი კვირით ადრე? 15-დან 19 კვირამდე?

ამოცანის ამოხსნა შესაძლებელია ორი ხერხით. პირველ შემთხვევაში POM for Windows პროგრამული პაკეტის ჩატვირთვის შემდეგ ვირჩევთ Project Management (PERT/CPM) მოდულს. ძირითადი მენიუს სტრიქონში File-ს მენიუდან ვირჩევთ New სტრიქონს და ამ სტრიქონის გაფართოებიდან Triple time estimate-ს. ეკრანზე გამოდის დიალოგური ფორმა (ნახ.10).



ნახ.10

პირველ სტრიქონში - Title-ში - შეგვაქვს ამოცანის დასახელება. მეორე Number of Activities სტრიქონში - პროექტში შემაგვალ სამუშაოთა რაოდენობა (მაგალითში – 10), მესამეში ვუთითებთ ცხრილის სტრუქტურას (ამოცანისათვის – Immediate predecessor list). Row names მეთხე სტრიქონში ვირჩევთ სტრიქონის დასახელების ტიპს (ამოცანაში – A,B,C,D,E....). OK ლილაკზე დაჭერის შემდეგ ეკრანზე გამოდის დიალოგური ფორმა (ნახ.11).

Activity	Optimistic time	Most Likely time	Pessimistic time	Predecessor 1	Predecessor 2	Predecessor 3	Predecessor 4	Predecessor 5	Predecessor 6	Predecessor 7
A	4	5	12							
B	1	1.5	5							
C	2	3	4	A						
D	3	4	11	A						
E	2	3	4	A						
F	1.5	2	2.5	C						
G	1.5	3	4.5	D						
H	2.5	3.5	7.5	B	E					
I	1.5	2	2.5	H						
J	1	2	3	F	G	I				

ნახ.11

Activity პირველ სვეტში ჩამოთვლილია სამუშაოთა დასახელებები. Optimistic time მეორე სვეტში შეგვაქვს შესაბამისი სამუშაოს შესრულების ოპტიმალური დრო. Most Likely time მესამე სვეტში შეგვაქვს შესაბამისი სამუშაოს შესრულების სავარაუდო დრო, მეთხე სვეტში - Pessimistic time - შეგვაქვს შესაბამისი სამუშაოს შესრულების პესიმისტური დრო. მეზუთე, მეექვსე და ა.შ. სვეტებში - Predecessor 1, Predecessor 2,..., შეგვაქვს სტრიქონში მითითებული სამუშაოს წინა სამუშაოები. Solve ლილაკზე დაჭერის შემდეგ ეკრანზე გამოდის ამოცანის ამოხსნის შედეგი (ნახ.12).

Activity	Activity time	Early Start	Early Finish	Late Start	Late Finish	Slack	Standard Deviation
Project	17						1.65
A	6	0	6	0	6	0	1.33
B	2	0	2	7	9	7	.67
C	3	6	9	10	13	4	.33
D	5	6	11	7	12	1	1.33
E	3	6	9	6	9	0	.33
F	2	9	11	13	15	4	.17
G	3	11	14	12	15	1	.5
H	4	9	13	9	13	0	.83
I	2	13	15	13	15	0	.17
J	2	15	17	15	17	0	.33

Activity	Activity time	Early Start	Early Finish	Late Start	Late Finish	Slack	Standard Deviation
Project	17						1.65
A	6	0	6	0	6	0	1.33
B	2	0	2	7	9	7	.67
C	3	6	9	10	13	4	.33
D	5	6	11	7	12	1	1.33
E	3	6	9	6	9	0	.33
F	2	9	11	13	15	4	.17
G	3	11	14	12	15	1	.5
H	4	9	13	9	13	0	.83
I	2	13	15	13	15	0	.17
J	2	15	17	15	17	0	.33

ნახ.12

როგორც ამონახსნიდან ჩანს, პროექტის კრიტიკული გზა შეიცავს A, E, H, I და J ხუთ საბუჯაროს (Slack ბოლოსწინა სვეტში შესაბამის საბუჯართა მნიშვნელობები 0-ის ტოლია). კრიტიკული გზის სიგრძე, ე.ი. პროექტის შესრულების მინიმალური დრო, უდრის 17 კვირას (Project სტრიქონის Activity სვეტის მნიშვნელობა არის 17). ცხრილის ბოლო სვეტში შეტანილია მთლიანად პროექტისა და ცალკეული საბუჯაროების შესრულების ვადის შუაკვადრატული გადახრის $\sigma(T)$ მნიშვნელობები. ეს გვაძლევს საშუალებას, ვუბასუხოთ ზემოთ დასმულ კითხვებზე.

ალბათობის თეორიის თანახმად, $Z = \frac{T_0 - E(T)}{\sigma(T)}$ შემთხვევით სიდიდეს აქვს ნორმალური განაწილება.

ამიტომ ალბათობა იმისა, რომ პროექტი შესრულდება 20 კვირაში, უდრის:

$$P(T_0 \leq 20) = P\left(Z \leq \frac{20-17}{1.65}\right) = P(Z \leq 1.82).$$

ნორმალური განაწილების ცხრილის თანახმად, ალბათობა იმისა, რომ პროექტი შესრულდება 20 კვირაში, როდესაც შესრულების სავარაუდო ვადა 17 კვირაა, უდრის:

$$P(T_0 \leq 20) = 0.95$$

ვიპოვოთ ალბათობა იმისა, რომ პროექტი შესრულდება ორი კვირით ადრე, ანუ 15 კვირაში:


$$P(T_0 \leq 15) = P\left(Z \leq \frac{15-17}{1.65}\right) = P(Z \leq -1.21) = 0.11$$

ვიპოვოთ ალბათობა იმისა, რომ პროექტი შესრულდება 15-დან 19 კვირამდე:

$$P(15 \leq T_0 \leq 19) = P\left(Z \leq \frac{19-17}{1.65}\right) - P\left(Z \leq \frac{15-17}{1.65}\right) = P(Z \leq 1.21) - P(Z \leq -1.21)$$


$$= 0.88 - 0.11 = 0.77$$

ისევე, როგორც CPM მეთოდში, PERT-შიც შესაძლებელია პროექტის და მასში შემავალი სამუშაოების დაწყებისა და დამთავრების ვადების ნახვა განტ-რუკით. ამისათვის მენიუში, რომელიც ახლავს ამონახსნთა ცხრილს, ვირჩევთ Chart სტრიქონს და ეკრანზე გამოდის ამოცანის განტ-რუკა (ნახ.13).



ნახ.13

მეორე ხერხით ამოხსნის დროს პროექტი მოცემულია გრაფის სახით (ნახ.14).




ნახ.14

ამ გრაფისა და საწყისი მონაცემების მიხედვით, რომლებიც მოცემულია 1-ლ ცხრილში, ვადგენთ დამხმარე მე-4 ცხრილს:

ცხრ.4

სამუშაო	საწყისი მწვერვალი	საბოლოო მწვერვალი	ოპტიმისტური დრო	ყველაზე სავარაუდო დრო	პესიმის-ტური დრო
A	1	2	4	5	12
B	1	3	1	1,5	5
C	2	5	2	3	4
D	2	4	3	4	11
E	2	3	2	3	4
F	5	7	1,5	2	2,5
G	4	7	1,5	3	4,5
H	3	6	2,5	3,5	7,5
I	6	7	1,5	2	2,5
J	7	8	1	2	3

როგორც პირველი ხერხით ამოხსნისას, ახლავ ვებერთათვთ POM for Windows პროგრამულ პაკეტს, ვირჩევთ Project Management (PERT/CPM) მოდულს. ძირითადი მენიუს სტრიქონში File მენიუდან ვირჩევთ New სტრიქონს და ამ სტრიქონის გაფართოებიდან - Triple time estimate. ეკრანზე გამოდის დიალოგური ფორმა (ნახ.15).



ნახ.15

ყველა სტრიქონში შეგვაქვს იგივე ინფორმაცია, როგორც წინა ამოცანაში, გარდა Table Structure სტრიქონისა, რომელშიც ვუთითებთ ცხრილის სტრუქტურას Start/end node numbers. ეკრანზე გამოდის დიალოგური ფორმა (ნახ.16).


Activity	Start node	End node	Optimistic time	Most Likely time	Pessimistic time
A	1	2	4	5	12
B	1	3	1	1.5	5
C	2	5	2	3	4
D	2	4	3	4	11
E	2	3	2	3	4
F	5	7	1.5	2	2.5
G	4	7	1.5	3	4.5
H	3	6	2.5	3.5	7.5
I	6	7	1.5	2	2.5
J	7	8	1	2	3

ნახ.16

მე-4 ცხრილის დახმარებით შეგვაქვს ინფორმაცია პროექტში უმაღლესი საბუშაოების შესახებ. Solve ლილაკზე დაჭერის შემდეგ ვიღებთ ამოცანის ამოხსნის შედეგს (ნახ.17) და განტ-რუკას (ნახ.18), რომლებიც იდენტურია პირველი ხერხით ამოხსნილი ამოცანის შედეგებისა.

Activity	Start node	End node	Activity time	Early Start	Early Finish	Late Start	Late Finish	Slack	Standard Deviation
Project			17						1.85
A	1	2	6	0	6	0	6	0	1.33
B	1	3	2	0	2	7	9	7	.67
C	2	5	3	6	9	10	13	4	.33
D	2	4	5	6	11	7	12	1	1.33
E	2	3	3	6	9	6	9	0	.33
F	5	7	2	9	11	13	15	4	.17
G	4	7	3	11	14	12	15	1	.5
H	3	6	4	9	13	9	13	0	.83
I	6	7	2	13	15	13	15	0	.17
J	7	8	2	15	17	15	17	0	.33

ნახ.17



ნახ.18

პრაქტიკული სამუშაო №7

➤ ლოგისტიკის მენეჯმენტი: მარაგების მართვის მოდელები

მარაგების მართვა წარმოადგენს ლოგისტიკის უმთავრეს ფუნქციას. მარაგების მართვის ამოცანები გადაწყვეტა გვაძლევს საშუალებას პირველ რიგში, განვსაზღვროთ მარაგის საჭირო დონე ლოგისტიკის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, და ასევე - შევქმნათ არსებული მარაგის რაოდენობის კონტროლის სისტემა.

მარაგების მართვის თეორიაში გამოიყენება შემდეგი ცნებები:

შეკვეთის შესრულების დანახარჯები (შეკვეთის დანახარჯები) - დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებული არიან შეკვეთის გაპორმებასთან. წარმოებაში ეს არის ხარჯები მოსამზადებელ ოპერაციებზე და ჩარხების გადაწყობაზე;

შენახვის დანახარჯები - დაკავშირებული არიან საქონლის ფიზიკურ შენახვასთან საწყობში;

დაკარგული მოგება (დეფიციტის დანახარჯები) - დაკავშირებული არიან დაუკმაყოფილებელ მოთხოვნებთან;

ჯამური დანახარჯები არის შეკვეთის, შენახვის და დაკარგული მოგების დანახარჯების ჯამი;

შეკვეთის შესრულების ვადა - დრო შეკვეთის მომენტიდან მის შესრულების მომენტამდე;

აღდგენის წერტილი - მარაგის დონე, რომლის დროსაც ხორციელდება ახალი შეკვეთა.

შეკვეთის ოპტიმალური სიდიდის განსაზღვრა

ამოცანა №1

VOLVOS აგენტი ყიდის ამ მარკის ავტომანქანის უკანასკნელ მოდელს. წლიური მოთხოვნა ამ მოდელზე შეადგენს 4000 ცალს. ავტომანქანის ღირებულებაა 90000 ლარი, ხოლო შენახვის წლიური დანახარჯები შეადგენენ ავტომანქანის ფასის 10%. ანალიზმა აჩვენა, რომ შეკვეთის საშუალო დანახარჯები შეადგენენ 25 ათას ლარს შეკვეთაზე. შეკვეთის შესრულების დროა - 8 დღე. ავტომანქანაზე ყოველდღიური მოთხოვნა უდრის 20 ცალს.

განსაზღვრეთ:

1. რას უდრის შეკვეთის ოპტიმალური სიდიდე?
2. რას უდრის აღდგენის წერტილი?

3. რას უდრის ჯამური დანახარჯები?
4. რას უდრის ოპტიმალური შეკვეთების რაოდენობა წელიწადში?
5. რას უდრის ოპტიმალური დრო ორ შეკვეთის შუალედში, თუ წელიწადში სამუშაო დღეების რაოდენობა 200-ა?

ამოხსნა:

საწყისი მონაცემები:

მოთხოვნის სიდიდე $D = 40000$ ცალი.

შეკვეთის დანახარჯები $K = 25000$ ლარი.

შენახვის დანახარჯები $H = \frac{90000 \cdot 10}{100} = 9000$ ლარი.

ერთი ავტომატის ფასი $C = 90000$ ლარი.

შეკვეთის შესრულების დრო $L = 8$ დღე.

ყოველდღიური მოთხოვნა $d = 20$ ცალი.

სამუშაო დღეების რაოდენობა $T = 200$ დღე.

1. შეკვეთის ოპტიმალური სიდიდე:

$$Q^* = \sqrt{\frac{2DK}{H}} = \sqrt{\frac{2 \cdot 40000 \cdot 25000}{9000}} = 149 \text{ ცალი.}$$

2. აღდგენის წერტილი:

$$R = d \cdot L = 20 \cdot 8 = 160 \text{ ცალი.}$$

3. ოპტიმალური შეკვეთის რაოდენობა წელიწადში:

$$N = \frac{D}{Q^*} = \frac{40000}{149} = 26,84$$

4. ჯამური დანახარჯები:

$$C = \frac{D}{Q} \cdot K + \frac{Q}{2} \cdot H = \frac{40000}{149} \cdot 25000 + \frac{149}{2} \cdot 9000 = \frac{1000000}{149} \cdot 10^3 + \frac{149 \cdot 9}{2} \cdot 10^3 = 10^3 (671,14 + 670,5) = 1341,64 \text{ ათასი ლარი}$$

5. გაყიდვების ღირებულება:

$$C \cdot D = 4000 \cdot 90000 = 360 \cdot 10^6 = 360 \text{ მილიონი ლარი.}$$

6. დღეების რაოდენობა შეკვეთებს შორის:

$$t = \frac{T}{N} = \frac{200}{26,84} = 7,45$$

საქონლის მიწოდება ფიქსირებული დროის ინტერვალით.

ამოცანა №2

მაღაზია ასრულებს სუნამოების შესყიდვებს ერთერთ ფაბრიკაში. წლიური მოთხოვნა ამ პროდუქციაზე შეადგენს 600 ცალს. შეკვეთის დანახარჯები 850 ლარია, შენახვის დანახარ - ჯები - 510 ლარი ერთ შეკვრაზე (20 ცალი შეკვრაში) წელიწადში. მაღაზიას აქვს დადებული ხელშეკრულება პროდუქციის შემოტანაზე ფიქსირებული დროის ინტერვალით. სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში უდრის 300. საქონლის შემოტანა ხორციელდება 6 დღეში. სუნამოს ერთი ფლაკონის ღირებულება 135 ლარია. რას უდრის შეკვეთების ოპტიმალური რიცხვი წელიწადში, შეკვეთის აღდგენის წერტილი და მინიმალური ჯამური დანახარჯები?

ამოხსნა:

საწყისი მონაცემები:

მოთხოვნის სიდიდე $D = 600$ ცალი;

შეკვეთის დანახარჯები $K = 850$ ლარი;

შენახვის დანახარჯები $H = \frac{510}{20} = 25,5$ ლარი;

ერთი ფლაკონის ღირებულება 135 ლარი;

შეკვეთის შესრულების დრო $L = 6$ დღე.

შეკვეთის ოპტიმალური სიდიდე:

$$Q^* = \sqrt{\frac{2Dk}{H}} = \sqrt{\frac{2 \cdot 600 \cdot 850}{25,5}} = 200 \text{ ცალი}$$

შეკვეთის ოპტიმალური რაოდენობა წელიწადში:

$$N = \frac{D}{Q^*} = \frac{600}{200} = 3 \text{ ცალი}$$

რადგან ღველდელიური მოთხოვნა შეადგენს $d = \frac{600}{300} = 2$ ცალს, მაშინ აღდგენის

წერტილი უდრის:

$$R = d \cdot L = 2 \cdot 6 = 12 \text{ ცალი.}$$

მინიმალური ჯამური დანახარჯები შეადგენენ:

$$C = \frac{D}{Q} \cdot K + \frac{Q}{2} \cdot H = \frac{3}{850} + \frac{100}{25,5} = 5100 \text{ ლარი.}$$

შეკვეთის ოპტიმალური სიდიდის მოდელი წარმოებით

ამოცანა №3

ჩარხზე ამზადებენ დეტალებს 12000 ცალის რაოდენობით წელიწადში. ეს დეტალები გამოიყენება პროდუქციის დასამზადებლად მეორე ჩარხზე, რომლის სიმძლავრეა 3600 ცალი წელიწადში. დარჩენილი დეტალებისაგან იქმნება მარაგი. შენახვის დანახარჯები შეადგენენ წელიწადში 0,5 ლარს ერთ დეტალზე. საწარმო ციკლის ღირებულება პირველ ჩარხზე შეად - გენს 800 ლარს. განსაზღვრეთ დეტალების პარტიის ოპტიმალური სიდიდე პირველ ჩარხზე.

ამოხსნა:

საწყისი მონაცემები:

მოთხოვნის სიდიდე $D = 3600$ ცალი;

წარმოების გაშვებაზე ფიქსირებული დანახარჯები $K = 800$ ლარი;

შენახვის დანახარჯები $H = 0,5$ ლარი;

მოთხოვნის სიდიდე დროის ერთეულში $d = 3600$ ცალი;

წარმოების ტემპი $p = 12000$ ცალი.

პარტიის ოპტიმალური სიდიდე პირველ ჩარხზე უდრის:

$$Q^* = \sqrt{\frac{2Dk}{H(1-\frac{d}{p})}} = \sqrt{\frac{2 \cdot 3600 \cdot 800}{0,5 \cdot (1-\frac{3600}{12000})}} = 4056,7 \text{ ცალი.}$$

შეკვეთის ოპტიმალური სიდიდის მოდელი დეფიციტით

ამოცანა №4

მაღაზია ასრულებს სუნამოების შესყიდვებს ერთერთ ფაბრიკაში. წლიური მოთხოვნა ამ პროდუქციაზე შეადგენს 600 ცალს. შეკვეთის დანახარჯები 850 ლარია, შენახვის დანახარ - ჯები - 510 ლარი ერთ შეკვრაზე (20 ცალი შეკვრაში) წელიწადში. მაღაზიას აქვს დადებული ხელშეკრულება პროდუქციის შემოტანაზე ფიქსირებული დროის ინტერვალით. სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში უდრის 300. საქონლის შემოტანა ხორციელდება 6 დღეში. სუნამოს ერთი ფლაკონის ღირებულება 135 ლარია.

დავუშვათ, რომ მენეჯერის მიერ ანალიზას ჩატარებისას მან დაადგინა, რომ დაკარგული მოგება, რომელიც დაკავშირებულია საქონლის უქონლობასთან, შეადგენს 20 ლარს წელიწადში. ერთ ფლაკონზე დანახარჯები შეკვეთაზე და შენახვაზე არ იცვლება. განსაზღვრეთ შეკვეთის ოპტიმალური სიდიდე გეგმიური დეფიციტის დროს. საჭიროა თუ არა გამოდგინებული იქნას სისტემა გეგმიური დეფიციტით?

ამოხსნა:

საწყისი მონაცემები:

მოთხოვნის სიდიდე $D = 600$ ცალი;

შეკვეთის დანახარჯები $K = 850$ ლარი;

შენახვის დანახარჯები $H = \frac{510}{20} = 25,5$ ლარი;

ერთი ფლაკონის ღირებულება 135 ლარი;

შეკვეთის შესრულების დრო $L = 6$ დღე;

დაკარგული მოგება $B = 20$ ლარი.

პარტიის ოპტიმალური სიდიდე დეფიციტით:

$$Q^* = \sqrt{\frac{2Dk}{H} \cdot \frac{B+H}{B}} = \sqrt{\frac{2 \cdot 600 \cdot 850}{25,5} \cdot \frac{20+25,5}{20}} = 200 \cdot 1,5 = 300 \text{ ცალი.}$$

პროდუქციის მაქსიმალური მარაგი ერთ ციკლში;

$$S^* = \sqrt{\frac{2Dk}{H} \cdot \frac{B}{B+H}} = \sqrt{\frac{2 \cdot 600 \cdot 850}{25,5} \cdot \frac{20}{20+25,5}} = 200 \cdot 0,66 = 132 \text{ ცალი.}$$

ჯამური დანახარჯები შეადგენენ:

$$C = \frac{D}{Q} \cdot K + \frac{S^2}{2Q} \cdot H + \frac{(Q-S)^2}{2Q} \cdot B = \frac{600 \cdot 850}{300} + \frac{132^2 \cdot 25,5}{2 \cdot 300} + \frac{(300-132)^2 \cdot 20}{2 \cdot 300} =$$

$$= 1700 + 740,5 + 948,8 = 3381,3 \text{ ლარი}$$

ჯამური დანახარჯები გეგმიური დეფიციტის შემთხვევაში ნაკლებია უდეფიციტო დანახარჯებზე $5100 - 3381,3 = 1718,3$ ლარით.

შეკვეთის ოპტიმალური სიდიდის მოდელი რაოდენობრივი შეღავათებით

ამოცანა №5

განვიხილოთ მაგალითი, რომელიც ახსნის გადაწყვეტილების მიღებას ფასდაკლების პირობებში. მაღაზია ვაჭრობს საბავშვო მანქანებით. შეკვეთის მოცულობიდან გამომდინარე არსებობს ფასდაკლებები, რომლებიც მოყვანილია ცხრილში:

ფასდაკლების ვარიანტები	1	2	3
რაოდენობა, როდესაც არსებობს ფასდაკლება	$0 \div 1000$	$1000 \div 2000$	2000 ზემოთ
ფასდაკლების სიდიდე	0	4	5
მანქანის ღირებულება, ფასდაკლებით, ლარი	5,0	4,80	4,75

შეკვეთის დანახარჯები შეადგენენ 49 ლარს. წლიური მოთხოვნაა 5000 ცალი. წლიური შენახვის დანახარჯები პროცენტულ შეფარდებით ფასთან შეადგენენ 20% ან 0,2. საჭიროა განვსაზღვროთ შეკვეთის რაოდენობა, რომლის დროსაც საერთო დანახარჯები იგნებთან მინიმალური.

ამოხსნა:

განვსაზღვროთ შეკვეთის ოპტიმალური სიდიდე ფასდაკლების სამივე ვარიანტისათვის:

$$Q^*_1 = \sqrt{\frac{2Dk}{H_1}} = \sqrt{\frac{2 \cdot 5000 \cdot 49}{0,2 \cdot 5}} = \sqrt{490000} = 700 \text{ ცალი}$$

$$Q^*_2 = \sqrt{\frac{2Dk}{H_2}} = \sqrt{\frac{2 \cdot 5000 \cdot 49}{0,2 \cdot 4,80}} = \sqrt{510416,6} = 714 \text{ ცალი}$$

$$Q^*_3 = \sqrt{\frac{2Dk}{H_3}} = \sqrt{\frac{2 \cdot 5000 \cdot 49}{0,2 \cdot 4,75}} = \sqrt{515789} = 718 \text{ ცალი}$$

რადგან Q^*_1 იმყოფება ინტერვალში 0-დან 1000-დე, ის უნდა ავიღოთ 700 ტოლი. ოპტიმალური სიდიდე ფასდაკლებით Q^*_2 ნაკლებია იმ რაოდენობაზე, რომელიც საჭიროა ფასდაკლების მისაღებად. ამიტომ ის უნდა ავიღოთ 1000 ცალის ტოლი. ანალოგიურად Q^*_3 უდრის 2000 ცალს. განვსაზღვროთ საერთო დანახარჯები შეკვეთის ყოველ მნიშვნელობისათვის და ფასდაკლების ვარიანტისათვის და შემდეგ ავირჩიოთ მინიმალური.

შეკვეთის წლიური დანახარჯები:

$$\frac{D}{Q^*_1} \cdot K = \frac{500 \cdot 49}{700} = 350 \text{ ლარი;}$$

$$\frac{D}{Q^*_2} \cdot K = \frac{500 \cdot 49}{1000} = 245 \text{ ლარი;}$$

$$\frac{D}{Q^*_3} \cdot K = \frac{500 \cdot 49}{2000} = 122,5 \text{ ლარი;}$$

შენახვის წლიური დანახარჯები:

$$\frac{Q^*_1}{2} \cdot H_1 = \frac{700}{2} \cdot 1 = 350 \text{ ლარი;}$$

$$\frac{Q^*_2}{2} \cdot H_2 = \frac{1000}{2} \cdot 0,96 = 480 \text{ ლარი;}$$

$$\frac{Q^*_3}{2} \cdot H_3 = \frac{2000}{2} \cdot 0,95 = 950 \text{ ლარი;}$$

ანგარიში მოყვანილია ცხრილში:

ფასდაკლების ვარიანტები	1	2	3
ფასი ფასდაკლებით, ლარი	5,00	4,80	4,75
შეკვეთის რაოდენობა	700	1000	2000
საქონლის ღირებულება (წლიური), ლარი	25000	24000	23750
შეკვეთის დანახარჯები (წლიური), ლარი	350	245	122,5
შენახვის დანახარჯები (წლიური), ლარი	350	480	950
საერთო წლიური დანახარჯები, ლარი	25700,0	24725,0	24822,5

ვირჩევთ იმ შეკვეთის რაოდენობას, რომლის დროსაც საერთო დანახარჯები არიან მინიმალური. ცხრილიდან ჩანს, რომ შეკვეთა 1000 სათამაშო მანქანების რაოდენობით იძლევა ყველაზე დაბალ საერთო დანახარჯებს.

შეკვეთის ოპტიმალური სიდიდის მოდელი მისი შესრულების ფიქსირებული დროით

ამოცანა №6

მაღაზია წელიწადში იძენს 1500 ტელევიზორს. შენახვის დანახარჯები შეადგენენ ერთ ტელევიზორზე 45 ლარს წელიწადში. შეკვეთის დანახარჯები - 150 ლარს. სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში უდრის 300, შეკვეთის შესრულების ვადა - 6 დღე. განსაზღვრეთ შეკვეთის ოპტიმალური სიდიდე, შეკვეთის წლიური დანახარჯები, მარაგის აღდგენის წერტილი.

ამოხსნა:

საწყისი მონაცემები:

$D = 1500$ ცალი, $H = 45$ ლარი, $K = 150$ ლარი, $T = 300$ დღე, $L = 6$ დღე.

1. შეკვეთის ოპტიმალური სიდიდე უდრის:

$$Q^* = \sqrt{\frac{2Dk}{H}} = \sqrt{\frac{2 \cdot 1500 \cdot 150}{45}} = 100 \text{ ცალი.}$$

2. შეკვეთის წლიური დანახარჯები:

$$C = \frac{D}{Q} \cdot K = \frac{1500}{100} \cdot 150 = 2250 \text{ ლარი.}$$

3. განსაზღვროთ დღიური მოთხოვნა:

$$d = \frac{D}{T} = \frac{1500}{300} = 5 \text{ ცალი.}$$

მარაგის აღდგენის წერტილი, ანუ მარაგის ის რაოდენობა, რაც საჭიროა ახალი შეკვეთი-სას:

$$R = d \cdot L = 5 \cdot 6 = 30 \text{ ცალი.}$$

შეკვეთის ოპტიმალური სიდიდის მოდელი მისი შესრულების ფიქსირებული დროით ამოცანა №7

მაღაზია წელიწადში ყიდის 400 საწოლს. ერთი საწოლის შენახვის დანახარჯები დღეში შეადგენს 50 ლარს, ხოლო შეკვეთის დანახარჯები - 2000 ლარს. სამუშაო დღეების რაოდენობა უდრის 250, შეკვეთის შესრულების ვადა - 6 დღე. განსაზღვრეთ შეკვეთის ოპტიმალური რაოდენობა, მარაგის აღდგენის წერტილი, შეკვეთის ოპტიმალური რაოდენობა იმ პირობით, რომ შენახვის დანახარჯები შეადგენენ 75 ლარს.

ამოხსნა:

საწყისი მონაცემები:

$D = 400$ ცალი, $h = 50$ ლარი, $K = 2000$ ლარი, $T = 250$ დღე, $L = 6$ დღე.

1. მოდელში შეკვეთის ოპტიმალური სიდიდე უდრის:

$$Q^* = \sqrt{\frac{2Dk}{hT}} = \sqrt{\frac{2 \cdot 400 \cdot 2000}{500 \cdot 250}} = 11,1 \text{ ცალი.}$$

2. ყოველდღიური მოთხოვნა:

$$d = \frac{D}{T} = \frac{400}{250} = 1,6 \text{ ცალი.}$$

მაშინ აღდგენის წერტილი: $R = d \cdot L = 1,6 \cdot 6 = 9,6$ ცალი.

3. თუ შენახვის დანახარჯები დღეში შეადგენენ 75 ლარს, მაშინ შეკვეთის დანახარჯები შეადგენენ:

$$Q^* = \sqrt{\frac{2Dk}{hT}} = \sqrt{\frac{2 \cdot 400 \cdot 2000}{75 \cdot 250}} = \sqrt{\frac{256}{3}} = 9,2 \text{ ცალი.}$$

შეკვეთის ოპტიმალური სიდიდის მოდელი დეფიციტით

ამოცანა №8

სახელოსნო ამზადებს ტაბურეტებს და შეუძლია დღეში დაამზადოს 150 ცალი. დღიური მოთხოვნა დაახლოებით არის 40 ცალი. წარმოების ფიქსირებული დანახარჯები შეადგენენ 100 ლარს, შენახვის ხარჯები - 8 ლარს ერთი ტაბურეტისათვის წელიწადში. წელიწადში 250 სამუშაო დღეა. განსაზღვრეთ: 1. საწარმო შეკვეთის ოპტიმალური სიდიდე; 2. შენახვის დანახარჯები; 3. საერთო ჯამური დანახარჯები წელიწადში.

ამოხსნა:

საწყისი მონაცემები:

$P=150$ ცალი, $d=40$ ცალი, $H=8$ ლარი, $K=100$ დღე, $T=250$ დღე.

განვსაზღვროთ დღიური დანახარჯები შენახვაზე:

$$h = \frac{H}{T} = \frac{8}{250} = 0,032 \text{ ლარი.}$$

1. მოდელში წარმოებით შეკვეთის ოპტიმალური სიდიდე უდრის:

$$Q^* = \sqrt{\frac{2dk}{h(1-\frac{d}{p})}} = \sqrt{\frac{2 \cdot 40 \cdot 100}{0,032(1-\frac{40}{150})}} = 583,9 \text{ ცალი.}$$

2. წლიური შენახვის დანახარჯები:

$$\frac{Q^*}{2} \cdot H \left(1 - \frac{d}{p}\right) = \frac{583,9}{2} \cdot 8 \left(1 - \frac{40}{150}\right) = 1712,8 \text{ ცალი}$$

3. წლიური ჯამური დანახარჯები:

$$C = \frac{D}{Q} \cdot K + \frac{Q^*}{2} \cdot H \left(1 - \frac{d}{p}\right) = \frac{250 \cdot 40}{583,9} \cdot 100 + 1712,8 = 3425,4 \text{ ლარი.}$$

შეკვეთის ოპტიმალური სიდიდის მოდელი დეფიციტით

ამოცანა №9

წლიური შეკვეთა მიქსერებზე უდრის 3000 ცალს, ანუ 10 ცალი დღეში. შეკვეთის დანახარჯები - 25 ლარი, შენახვის დანახარჯები - 25 ლარი, შენახვის დანახარჯები - 0,4 ლარი დღეში. რადგან მიქსერი ძალიან პოპულარულია, მყიდველები თანახმა არიან დაელოდონ, სანამ არ შემოვა შემდეგი პარტია. მაგრამ დანახარჯები დეფიციტის გამო შეადგენენ 0,75 ლარს ერთ მიქსერზე დღეში. განსაზღვრეთ;

1. რამდენი მიქსერი უნდა შეუკვეთოს მაჭახიამ?
2. რას უდრის მაქსიმალური დეფიციტი?
3. რას უდრის წლიური ჯამური დანახარჯები?

საწყისი მონაცემები:

$D=3000$ ცალი, $d=10$ ცალი, $h=0,4$ ლარი, $K=25$ ლარი, $b=0,75$ ლარი, $T=\frac{3000}{10}=300$ დღე,

$L=6$ დღე.

1. მოდელში დეფიციტით შეკვეთის ოპტიმალური სიდიდე უდრის:

$$Q^* = \sqrt{\frac{2dk \cdot \frac{b+h}{b}}{h}} = \sqrt{\frac{2 \cdot 10 \cdot 25 \cdot \frac{0,75+0,4}{0,75}}{0,4}} = 43,8 \text{ ცალი.}$$

2. მარაგის მაქსიმალური სიდიდე:

$$S^* = \sqrt{\frac{2dk \cdot \frac{b}{b+h}}{h}} = \sqrt{\frac{2 \cdot 10 \cdot 25 \cdot \frac{0,75}{0,75+0,4}}{0,4}} = 28,5 \text{ ცალი.}$$

მაქსიმალური დეფიციტი შეადგენს:

$$Q^* - S^* = 43,8 - 28,5 = 15,3 \text{ ცალი.}$$

3. წლიური ჯამური დანახარჯები:

$$C = \frac{D}{Q^*} \cdot K + \frac{S^2}{2Q^*} \cdot H + \frac{(Q-S)^2}{2Q} \cdot B = \frac{3000}{43,8} \cdot 25 + \frac{(28,5)^2}{2 \cdot 43,8} \cdot 120 + \frac{(43,8 - 28,5)^2}{2 \cdot 43,8} \cdot 225 = 3426 \text{ ლარი.}$$

შეკვეთის ოპტიმალური სიდიდის ფასდაკლებით

ამოცანა №10

მაღაზია „ყველაფერი სახლისათვის“ ყიდულობს ლინოლიუმს ზომით 2×3 მ² მწარ-მოებლიზგამ. შეკვეთის სიდიდის მიხედვით ფირმა სთავაზობს შემდეგ ფასდაკლებებს:

შეკვეთის სიდიდე	9 ნაჭერი ან ნაკლები	10 ÷ 50	50 ნაჭერი და მეტი
1 ნაჭრის ფასი, ლარი	18	17,5	17,25

შეკვეთის დანახარჯებია 45 ლარი. შენახვის წლიური დანახარჯები შეადგენენ შესყიდვის ფასის 50%-ს, წლიური მოთხოვნა ლინოლიუმზე უდრის 100 ნაჭერს. განსაზღვრეთ შეკვეთის ოპტიმალური სიდიდე. ამოხსნა:

როდგან შენახვის დანახარჯები დამოკიდებულია საქონლის ფასზე, ხოლო საქონლის ფასი შეკვეთის სიდიდეზე, ამიტომ უნდა განვსაზღვროთ შეკვეთის ოპტიმალური სიდიდე სამივე ფასის ინტერვალისათვის:

$$Q^*_1 = \sqrt{\frac{2Dk}{H_1}} = \sqrt{\frac{2 \cdot 100 \cdot 45}{0,5 \cdot 18}} = 31,62 \text{ ცალი, როცა ფასი 18 ლარია;}$$

$$Q^*_2 = \sqrt{\frac{2Dk}{H_2}} = \sqrt{\frac{2 \cdot 100 \cdot 45}{0,5 \cdot 17,5}} = 32,07 \text{ ცალი, როცა ფასი 17,5 ლარია;}$$

$$Q^*_3 = \sqrt{\frac{2Dk}{H_3}} = \sqrt{\frac{2 \cdot 100 \cdot 45}{0,5 \cdot 17,25}} = 32,3 \text{ ცალი, როცა ფასი 17,25 ლარია.}$$

როცა ფასი 18 ლარია, შეკვეთის ოპტიმალური სიდიდე უნდა იყოს 9 ნაჭერი. ამ შემთხვევაში ჯამური დანახარჯები იქნებიან მინიმალური:

$$C_1 = \frac{D}{Q_1} \cdot K + \frac{Q_1}{2} \cdot H + C_1 D = \frac{100}{9} \cdot 45 + \frac{9}{2} \cdot 0,5 \cdot 18 + 18 \cdot 100 = 2340,5 \text{ ლარი}$$

როცა ფასი 17,5 ლარია, შეკვეთის ოპტიმალური სიდიდე უდრის 32,07 ცალს და ჯამური დანახარჯები შეადგენენ:

$$C_2 = \frac{D}{Q_2} \cdot K + \frac{Q_2}{2} \cdot H + C_2 D = \frac{100}{32,7} \cdot 45 + \frac{32,07}{2} \cdot 0,5 \cdot 17,5 + 17,5 \cdot 100 = 2030,6 \text{ ლარი}$$

როცა ფასი 17,25 ლარია, შეკვეთის ოპტიმალური სიდიდე უდრის 50 ცალს და ჯამური დანახარჯები შეადგენენ:

$$C_3 = \frac{D}{Q_3} \cdot L + \frac{Q_3}{2} \cdot H + C_3 D = \frac{100}{50} \cdot 45 + \frac{50}{2} \cdot 0,5 \cdot 17,5 + 17,5 \cdot 100 = 2030,6 \text{ ლარი}$$

თუ შევადარებთ ჯამურ დანახარჯებს სხვადასხვა ფასდაკლებების დროს, შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ შეკვეთის სიდიდე უნდა უდრიდეს ან 32,07 ნაჭერს, ან 50 ნაჭერს, რადგან დანახარჯები მინიმალურია და უდრის 2030,6 ლარს.

შეკვეთის ოპტიმალური სიდიდის მოდელი რაოდენობრივი შეღავათებით

ამოცანა №11

მაღაზია ყიდის საძინებლებს წელიწადში 1000 წალს. თითო საძინებლის ფასია 2500 ლარი. ერთი შეკვეთის დანახარჯები შეადგენენ 2000 ლარს. საძინებლების შენახვის წლიური დანახარჯები შეადგენენ ღირებულების 25%. მაღაზია ლეზულობს ფასდაკლებას 3%-ს, თუ შეკვეთის სიდიდე არა ნაკლებ 200 საძინებლებისა. ღირს თუ არა ამ ფასდაკლების გამოყენება?

ამოხსნა:

ფასდაკლების შედეგად საძინებლის ფასი შეადგენს:

$$2500 - \frac{2500 \cdot 3}{100} = 2425 \text{ ლარს.}$$

შეკვეთის ოპტიმალური სიდიდე, როცა ფასი უდრის 2500 ლარს, ტოლია:

$$Q^*_1 = \sqrt{\frac{2Dk}{H_1}} = \sqrt{\frac{2 \cdot 1000 \cdot 2000}{0,25 \cdot 2500}} = 80 \text{ ცალი};$$

შეკვეთის ოპტიმალური სიდიდე 3% ფასდაკლებით შეადგენს:

$$Q^*_2 = \sqrt{\frac{2Dk}{H_2}} = \sqrt{\frac{2 \cdot 1000 \cdot 2000}{0,25 \cdot 2425}} = 81,23 \text{ ცალი};$$

განვსაზღვროთ ჯამური დანახარჯები, როცა ფასი უდრის 2500 ლარს. შეკვეთის ოპტიმალური სიდიდე ამ შემთხვევაში უდრის 80 ცალს:

$$C_1 = \frac{D}{Q_1} \cdot K + \frac{Q_1}{2} \cdot H_1 + C_1 D = \frac{1000}{80} \cdot 2000 + \frac{80}{2} \cdot 0,25 \cdot 2500 + 2500 \cdot 1000 = 2550000 \text{ ლარი.}$$

ჯამური დანახარჯების განსაზღვრისას ფასდაკლებით შეკვეთის ოპტიმალური სიდიდე უნდა ავირჩიოთ 200 ცალი:

$$C_2 = \frac{D}{Q_2} \cdot K + \frac{Q_2}{2} \cdot H_2 + C_2 D = \frac{1000}{200} \cdot 2000 + \frac{200}{2} \cdot 0,25 \cdot 2425 + 2425 \cdot 1000 = 2495625 \text{ ლარი.}$$

შეიძლება გავაკეთოდ დასკვნა, რომ მაღაზიამ უნდა ისარგებლოს ფასდაკლებით და გააკეთოს შეკვეთა 200 ცალზე.

პრაქტიკული სამუშაო № 12

ერთარხიანი მასობრივი მომსახურების სისტემა


შეუზღუდავი რიგით (ლოდინით) – M/M/1

მასობრივი მომსახურების სისტემების (მმს) მუშაობა შეიძლება შეფასდეს, როგორც რაოდენობრივი მაჩვენებლებით, ასევე ფულადი დანახარჯების თვალსაზრისით.

განვიხილოთ ერთარხიანი მმს-ის შემდეგი მაგალითი: „მანქანების სამრეცხაოში ერთი მრეცხავია, რომელსაც შეუძლია გარეცხოს 3 ავტომანქანა საათში. მომსახურების დრო განაწილებულია ექსპონენციალური კანონით. პუასონის განაწილების კანონის თანახმად, სამრეცხაოში საათში საშუალოდ შემოდის 2 ავტომანქანა. კლიენტების მომსახურება ხდება რიგის მიხედვით და მათი რიცხვი არ არის შეზღუდული. განსაზღვრეთ მომსახურების სისტემის ძირითადი მახასიათებლები“.


ა) განვსაზღვროთ ავტოსამრეცხაოს მუშაობის ეფექტურობა. საწყისი მონაცემებია: $\lambda=2$ მანქანა/სთ, $\mu=3$ მანქანა/სთ, $n=1$.

POM for Windows პროგრამული პაკეტის გაშვების შემდეგ ეკრანზე გამოჩნდება Module მენიუ (ნახ.19), რომელშიც მიუთითებთ მმს-ის მოდულს Waiting Lines.




ნახ.19

მოდულის არჩევის შემდეგ გამოდის დიალოგური ფორმა (ნახ.20), რომლის ძირითადი მენიუს სტრიქონში File მენიუდან ვირჩევთ New სტრიქონს და ამ სტრიქონის გაფართოებიდან პირველ სტრიქონს 1 M/M/1 (exponential service times).



ნახ.20

ეკრანზე გამოდის დიალოგური ფორმა (ნახ.21).



ნახ.21

Title პირველ სტრიქონში შეგვაქვს ამოცანის დასახელება, Cost analysis მეორე სტრიქონში ვირჩევთ No Costs რეჟიმს. ეს ნიშნავს იმას, რომ შემდგომში სრულდება მმს-ს მხოლოდ რაოდენობრივი მახასიათებლების ანგარიში. OK ღილაკზე დაჭერის შემდეგ ეკრანზე გამოდის ცხრილი (ნახ.22).

Parameter	Value
M/M/1 (exponential service times)	
Arrival rate (lambda)	2
Service rate (mu)	3
Number of servers	1

ნახ.22

Time Unit (arrival, service rate) სტრიქონში უნდა მიეთითოს λ -ს და μ -ს დროის განზომილება (წუთი, საათი, დღე-ღამე და ა.შ.). Waiting Lines მოდულის არჩევისას განზომილება ავტომატურად მიითებულება საათებში – hours, რაც ემთხვევა ამ ამოცანის პირობებს, ამიტომ მას არ ვცვლით. ცხრილის Arrival rate (lambda) სტრიქონში შეგვაქვს λ -ს მნიშვნელობა – 2, Service rate(μ) სტრიქონში – μ -ს

მნიშვნელობა – 3. ვინაიდან ლაბორატორიულ სამუშაოში განიხილება ერთარხიანი მმს-სი, Number of servers სტრიქონში ავტომატურად დაფიქსირებულია – 1.

Solve დილაკზე დაჭერის შემდეგ ეკრანზე გამოდის ამოცანის ამოხსნის შედეგი, რომელსაც თან ახლავს ეკრანზე გამოსატანი სასურველი პარამეტრების ჩამონათვალი Cascade მენიუში (მმს-ის მახასიათებლები, ალბათობათა მნიშვნელობები, ალბათობათა გრაფიკული გამოსახულება) (ნახ.23).

Parameter	Value	Parameter	Value	Minutes	Seconds
M/M/1 (exponential service times)		Average server utilization	.67		
Arrival rate (lambda)	2	Average number in the queue (Lq)	1.33		
Service rate (mu)	3	Average number in the system (Ls)	2		
Number of servers	1	Average time in the queue (Wq)	.67	40	2400
		Average time in the system (Ws)	1	60	3600

ნახ.23

